ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 599350451

N 76
09/02/2018

76-07-3-201802091650

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 8 თებერვალს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №3– 3(სამი) ფურცელი
დასკვნა №3– 1(ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ალექსანდრე მახათაძე

კომისიის თავმჯდომარე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №3

ქ.ლანჩხუთი 08.02.2018.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: გიორგი ჩახვაძე, თორნიკე ტიკაძე, იოსებ ჩხაიძე და ზურაბ კუკულავა.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ა. მახათაძე/

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში შესული მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წერილის საფუძველზე სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის, შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურისა და ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სამუშაო ოთახების სარემოტო სამუშაოებზე უნდა მიიმართოს 20000 ლარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო ბაზის სარემონტო სამუშაოებზე - 20000 ლარი. იმის გამო, რომ ბიუჯეტში შემოსავლის ზრდის საშუალება არ არის მიზანშეწონილად ჩათვალა დამტკიცებულ ასიგნების ფარგლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის 40000 ლარის შემცირების ხარჯზე განხორციელდეს სარემონტო სამუშაოების დაფინანსება. ასევე აღნიშნული თანხის ფარგლებში მოხდეს ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისთვის ოთახის მოწყობა. ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული თავისუფალი ნაშთის ხარჯზე უნდა გაიზარდოს მერიის არაფინანსური აქტივების მუხლი 3000 ლარით.

როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო სულ 1264761 ლარი. მათ შორის: სახელმწიფო ფონდი შეადგენს 1201522 ლარს, თანადაფინანსება - 63239 ლარს, რომელზეც შესაბამისი ცვლილების შეტანის მიზნით აუცილებელია გაგრძელდეს ადმინისტრაციული წარმოება.

ძან ასევე აღნიშნა, რომ მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა დათანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზნით აუცილებელია დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება. კერძოდ: მერის პირველი მოადგილის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 1900 ლარით, ხოლო მერის მოადგილის - 1700 ლარით. დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზნით საჭიროა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს აპარატის ხუთი სპეციალისტის გადაყვანა ხდება მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროს სპეციალისტებად და შესაბამისად მათი ანაზღაურებაც ნაცვლად 650 ლარისა განისაზღვრება 700 ლარით. წლიური სხვაობა შეადგენს 3000 ლარს, რაზეც საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიას მომზადებული აქვს საკითხი და საჭიროა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისგან შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა. როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ ცვლილებების განხორციელება მოხდება მხოლოდ დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში.

დეპუტატმა იოსებ ჩხაიძემ აღნიშნა, რომ გასულ წელს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოხდა გროგოლეთის საფეხბურთო ბაზაზე სარემონტო სამუშაოების ჩატარება. იგი დაინტერესდა თუ ვინ იყო მატერიალურ საკითხებში პასუხისმგებელი პირი, ან იმაზე, რომ ბაზა უკვე სარემონტოა ვის მოეთხოვებოდა პასუხი. როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ საფეხბურთო ბაზა ჩაბარებული ჰქონდა საფეხბურთო კლუბ "ლანჩხუთის გურიას". დეპუტატმა ასევე გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაახლოებით 7000000 ლარი გამოეყო საფეხბურთო კლუბ "ლანჩხუთის გურიას" და გუნდი მაინც უფსკრულში აღმოჩნდა, რომელზეც პასუხისმგებელი არავინაა.

სხომის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ ამ დროისათვის გუნდი იმყოფება კერძო სასტუმროში, რომელიც გაცილებით დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამიტომ აუცილებელია აღნიშნული თანხის გამოყოფა, რომ მოხდეს საფეხბურთო ბაზის გარემონტება და ფეხბურთელების ბაზაზე გადმოყვანა. მან ასევე აღნიშნა, რომ როდესაც დასრულდება ბაზაზე სარემონტო სამუშაოები, გუნდი იქ დაბინავდება და დაიწყებს ფუნქციონირებას დავიბაროთ ფეხბურთის დღევანდელი ხელმძღვანელობა და ერთად გავიაროთ ყველა ის საკითხი, რომელიც ეხება მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრებას, რომ შემდგომში ისევ იგივე პრობლემის წინაშე არ დავდგეთ.

დეპუტატმა იოსებ ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოყოფილი თანხის ბიუჯეტში ასახვის მიზნით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. მან მოითხოვა, რომ საკითხის დამტკიცებამდე სრულყოფილად იყოს დოკუმენტაცია წარმოდგენილი კონკრეტულად სად რომელი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება ხდება.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ საკითხი, რომელზეც იწყება ადმინისტრაციული წარმოება მომდევნო სხდომაზე იყოს წარმოდგენილი სრულყოფილად. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ წარმოდგენილ განმარტების ბარათს, რომელიც ეხება ბიუჯეტის ცვლილებას, თან ერთვოდეს ინფრასტრუქტურის სამსახურის დოკუმენტაცია, რომელშიც იქნება სრული ჩამონათვალი იმ ობიექტებისა რომლების დაფინანსებაც უნდა მოხდეს აღნიშნული 1264761 ლარით.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნის გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ქ. ლანჩხუთი 08.02.2018 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №3

2018 წლის 8 თებერვალს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნის გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

08.02.2018 წელი
16:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	16 00	
2	თორნიკე ტიკაძე	15:59	
3	გიორგი ჩახვაძე	16 00	
4	დავით ჩხარტიშვილი	არ ესწრებოდა	
5	ამირან გიგინეიშვილი	არ ესწრებოდა	
6	იოსებ ჩხაიძე	15 50	
7	აკაკი იმნაიშვილი	არ ესწრებოდა	
8	ზურაბ კუკულავა	15 55	
9	ემზარ თევდორაძე	არ ესწრებოდა	